



2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი

ბეჭდური მედიის მონიტორინგი

15 ივნისი - 30 ივნისი, 2014

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2014 წლის 15 აპილიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით და მოიცავს 7 გამოცემას: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“, „კვირის პალიტრა“.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 15 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა გამოცემაში კვლავ ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა.
- ამ პარტიის მიმართ განსაკუთრებულად კრიტიკული განწყობა გვხვდება გაზეთებში: „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „კვირის ქრონიკა“.
- აღნიშნულ პერიოდში აქტიურად გაშუქდა სხვადასხვა პოლიტიკოსის შეფასებები არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით.
- არჩევნების დღის შემდეგ (15 ივნისი) ბეჭდურ მედიაში შემცირდა მერობის კანდიდატთა გაშუქების სიხშირე.
- არჩევნების დღის შემდეგ სუბიექტების გაშუქებისას მომატებულია ნეიტრალური ტონის პროცენტული მაჩვენებლები.
- მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, მონიტორინგის წინა პერიოდებისგან განსხვავებით, ჟურნალისტთა ტექსტებში შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ნაკლებად შეგვხვდა გაზეთ „ვერსიაში“.
- ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევები კვლავ სისტემატურად გვხვდება გამოცემებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“ და „კვირის ქრონიკა“.

რეზონანსი


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „რეზონანსი“ კვლავ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გამოცემაში არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. აქტიურად გაშუქდა არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული საკითხები.

ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (30%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (24%) და მთავრობის (15%) საქმიანობა გაშუქდა. მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოიკვეთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (21%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 1). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი ტონი ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. „რეზონანსის“ ჟურნალისტები მონიტორინგის პერიოდში თავს იკავებდნენ პოლიტიკური შეფასებებისა და დაუსაბუთებელი მსჯელობისგან. მერობის კანდიდატთა გაშუქებისას გაზეთში ჭარბობდა ნეიტრალური ტონი (იხ. დიაგრამა 2).


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში აქტიურად და საკმაოდ ობიექტურად გაშუქდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული საკითხები (მაგალითად: „ოცნებას თბილისის საკრებულოში 2/3-ზე მეტი ეყოლება“, 17.06.2014, გვ. 4; „2 წელში „ოცნებამ“ მხარდამჭერთა 39% დაკარგა, „ნაცმოძრაობამ“ – 63%“, 18.06.2014, გვ. 4; „ზეიმი ეგზიტპოლებს ურთიერთგამომრიცხავი შედეგების ფონზე“, 16.06.2014, გვ. 16). ასევე, „რეზონანსმა“ გააშუქა არჩევნებში დამარცხებული მერობის კანდიდატთა მოსაზრებებიც (მოკლე ინტერვიუები კახა კუკავასთან, დიმიტრი ლორთქიფანიძესთან და ასმათ ტყაბლაძესთან, 16.06.2014, გვ. 3).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „რეზონანსმა“ საკმაოდ აქტიურად და ობიექტურად გააშუქა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

(დიაგრამა 1, სუბიექტების გაშუქება „რეზონანსი“)



(დიაგრამა 2, მერობის კანდიდატების გაშუქება „რეზონანსი“)



ალია

მონიტორინგის აღნიშნულ პერიოდში „ალია“ კვლავ საკმაოდ არაობიექტურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა, არაეთიკური გამონათქვამები, დაუზუსტებელი ფაქტებისა და ნაკლებად სანდო


წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები. გაზეთის ჟურნალისტები საკმაოდ ხშირად იყენებენ შეურაცხყოფელ ტერმინოლოგიას სხვადასხვა პოლიტიკოსის გაშუქებისას.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (34%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (32%) და მთავრობის (21%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (53%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 3).

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გამოცემაში არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები; მაგალითად: „მიხეილ სააკაშვილი რომ გიჟი პიარშიკია მთელმა მსოფლიომ გაიგო. მან სწორედ ასეთი პიარით დაგვაბოლა“ („რა მოხდა უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სააკაშვილის მისვლისას“, 24.06.2014, გვ. 11); „სალამოს ნსთ-თვის სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები ირმა ინაშვილი, მეტსახელად „ნურსა“ და ზურაბ აბაშიძე, პოეტ რეზო ამაშუკელის „შეტრუსული გოჭი“ ბაქოს აეროპორტში ელექტრონული შოკის ხელსაწყოებითა და ნახევარი მილიონი დოლარით ხელში დააკავეს“ („ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე ალიევის სააკაშვილის თხოვნით გაუშვია...“, 20.06.2014, გვ. 3-4). ასევე, შეგვხვდა ისეთი შემთხვევებიც, სადაც სტატიის სათაურად წარმოდგენილი იყორესპონდენტთა მიერ წარმოთქმული უკიდურესად შეურაცხყოფელი ფრაზები; მაგალითად: „ლაშა ამირეჯიბი: ყველას დედა მოვტ...ან, ვისაც სიმართლე ეზიზღება, ვისაც სიმართლე სძულს... გინდა ძველ ხელისუფლებაში იყოს, გინდა ახალ ხელისუფლებაში“ (27.06.2014, გვ. 5).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ალია“ კვლავ საკმაოდ არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. გაზეთის ჟურნალისტები არ ერიდებიან შეურაცხყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენებას სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ.

(დიაგრამა 3, სუბიექტების გაშუქება, „ალია“)



კვირის პალიტრა


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის პალიტრაში“ საგრძნობლად მოიმატა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკამ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევის შემთხვევები გამოცემაში არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის პერიოდში ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (38%) და კოალიცია „ქართული ოცნების“ (30%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (62%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 4). მერობის კანდიდატთა საქმიანობა მონიტორინგის პერიოდში „კვირის პალიტრას“ აქტიურად არ გაუშუქებია.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის პალიტრა“ საკმაოდ ობიექტურად აშუქებდა ახალ ამბებს. ხოლო საავტორო რუბრიკაში „კვირის ფიქრები მერაბ მეტრეველთან ერთად“ ჭარბობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის პალიტრაში“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ მკვეთრად იმატა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკამ. ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

(დიაგრამა 4, სუბიექტების გაშუქება, „კვირის პალიტრა“)



ასავალ-დასავალი

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალი“ კვლავ უკიდურესად კრიტიკულად იყო განწყობილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ასევე, უარყოფითი ტონი ჭარბობდა მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ გაშუქებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დადებით კონტექსტში შუქდებოდა დავით ნარმანიას საქმიანობა. გაზეთში სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები. ხშირია ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალმა“ კვლავ უკიდურესად არაობიექტურად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები.


მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (39%), პრემიერმინისტრი (20%) და კოალიცია „ქართული ოცნება“ (14%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (76%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 5). უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ერგო მთავრობას (52%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (47%).

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გამოცემაში არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ; მაგალითად: „სასაკრებულოდ გამოყოფილი რომელიღაც ერთუჯრედიანი ნაცი, ძალიანაც რომ მოინდომოს იმდენს ვერ ავნებს ქალაქს და ქვეყანას, რამდენიც უკვე ავნო ამ დავით ზურაბიშვილმა!“ (სტატის თან ახლავს დავით ზურაბიშვილის საარჩევნო

ფოტო, რომელიც არის გადახაზული. „ რატომ გადავხაზე საარჩევნო ბიულეტენში „ქართული ოცნების“ რესპუბლიკელი კანდიდატი!“, 16.06.2014, გვ. 11); „წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნემის ყანებში მოშლივინე და ქვასროლია უცნობი, რომელიც „ხან უხილავია და ხან ხილული“ , მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი შეიძლება იყოს!“ („მიშა, გამოდი ყანიდან!“, 30.06.2014, გვ. 6). ასევე, აღსანიშნავია ჟურნალისტის მხრიდან საკმაოდ დადებითი განწყობა კოალიცია „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატის, დავით ნარმანიას, მიმართ: „ყოველგვარი რევერანსების გარეშე შემიძლია ვთქვა - დათო არის თხემით ტერფამდე ქართველი კაცი, უწესიერეს ქართულ ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდა, რომელსაც ქართულად უძგერს გული!“ („მეორე ტური თბილისის ცენტრში დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება უნდა იყოს!“ , 16.06.2014, გვ. 2).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ასავალ-დასავალი“ კვლავ უკიდურესად არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

(დიაგრამა 5, სუბიექტების გაშუქება „ასავალ-დასავალი“)



ახალი თაობა


მონიტორინგის აღნიშნულ პერიოდში „ახალ თაობაში“ შეიმჩნეოდა უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები უმეტესად დაცული იყო, თუმცა, რიგ შემთხვევებში გაზეთის ჟურნალისტები ღიად გამოხატავდნენ საკუთარ უარყოფით განწყობას ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ.

ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (33%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (24%) და მთავრობის (12%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (37%) ერგო (იხ. დიაგრამა 6). თბილისის მერობის კანდიდატების გაშუქებისას გაზეთში ჭარბობს ნეიტრალური ტონი (იხ. დიაგრამა 7).


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი გამონათქვამები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ; მაგალითად: „საუბარია ნაცმოძრაობაზე რომელიც ძალიან ძლიერი არა, მაგრამ ხელოვნურად მკვდრებით აღმდგარი კია...“, „ამ სიტუაციაში დავით ბაქრაძის სიტყვები ფარისევლურად გამოიყურება...“ (ვერც დამნაშავე ნაცმოძრაობა მოვიცილეთ და ვერც ოცნებას ვიცილებთ“, 17.06.2014, გვ. 7); „არ სჯობს, ნაცმოძრაობა მცირერეიტინგიან პარტიად დარჩეს, ვიდრე მთელს პოლიტიკურ სპექტრში გაიბნეს და მთელი სივრცე გასვაროს?“ (24.06.2014, გვ. 6).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ახალ თაობაში“ შეიმჩნევა კრიტიკული განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. რიგ შემთხვევებში გაზეთის ჟურნალისტები ღიად გამოხატავენ მათ უარყოფით განწყობას ამ პარტიის წარმომადგენელთა გაშუქებისას.

(დიაგრამა 6, სუბიექტების გაშუქება „ახალი თაობა“)



(დიაგრამა 7, მერობის კანდიდატების გაშუქება „ახალი თაობა“)



ვერსია


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ვერსიაში“ კვლავ შეიმჩნეოდა კრიტიკული განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. გაზეთში ასევე მოიმატა მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკამ. უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში არ შეგვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (25%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (17%) და მთავრობის (19%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (46%) გაშუქებისას. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები სხვა სუბიექტების გაშუქებისას არ დაფიქსირებულა (იხ. დიაგრამა 8). მერობის კანდიდატთა საქმიანობა „ვერსიას“ აქტიურად არ გაუშუქებია.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთმა საკმაოდ აქტიურად გააშუქა სხვადასხვა პოლიტიკოსთა თუ ექსპერტთა შეფასებები არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით (მაგალითად: „რას გეგმავს არასაპარლამენტო ოპოზიცია“, 16.06.2014, გვ. 3; „კახა კახიშვილი არჩევნებს აფასებს და უმართავ პროცესებს პროგნოზირებს“, 18.06.2014, გვ. 4; ალექსანდრე ქანთარია კითხვები ხელისუფლებას“, 27.06.2014, გვ. 3).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის წინა პერიოდებისგან განსხვავებით, „ვერსიაში“ აღარ შეგვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. გაზეთში კვლავ შეინიშნება უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.

(დიაგრამა 8, სუბიექტების გაშუქება, „ვერსია“)



კვირის ქრონიკა

მონიტორინგის აღნიშნულ პერიოდში „კვირის ქრონიკა“ კვლავ საკმაოდ კრიტიკული იყო როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ასევე მმართველი კოალიციის მიმართ. სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. „კვირის ქრონიკის“ ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ სუბიექტურ მსჯელობასა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ.


მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (27%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (22%), მთავრობისა (21%) და პრემიერმინისტრის (13%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (44%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 9). უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები ერგოთ პრეზიდენტსა (31%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (22%).

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის ქრონიკაში“ სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. მაგალითად: „ამჯერად ცაში გაფრენილ ბუმტებს გაჰყვა მისი გაბუმტული ოცნება... დავითს [ნარმანიას] ცულლუტი დედიკო ჰყოლია...“ („დროა ოცნებამ დოყლაპიობაში აღებულ პრემიებზე უარი თქვას და დიეტაზე დაჯდეს, ვიდრე მათ ხალხი სხვა რამეზე არ დასვამს“, 23.06.2014, გვ. 2); „ყინულზე მაკე ვირივით მოსრიალეზული თბილისის მერი, გიგილო უგულავა 30 ივნისისთვის ფინანსურ პოლიციაში დაკითხვაზე

დაიბარეს“ („ამ ყრძო ღარიბაშვილს და მის მთავარ იხტიოლოგ ივანიშვილს მინდა ვუთხრა: რამდენი მილიარდიც არ უნდა იშოვო და რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოთ თქვენგან არც სალამური გამოითლება და არც კაცი დადგება“, 30.06.2014, გვ. 2); „უბედურება ის კი არ არის, რომ დასავლეთის პოლიტიკურ მესაჯდომეებთან კუდიტ გადაბმული უსუფაშვილი ასეთ განცხადებას აკეთებს (პირიქით, ეს სავსებით ლოგიკურია), უბედურება და ტრაგედია ისაა, რომ ეს სამპროცენტნიანი პარაზიტი ხელისუფლებაშია, თანაც საკანონმდებლო ხელისუფლების სათავეში“ („უსუფაშვილმა ნიღაბი ჩამოიხსნა“, 30.06.2014, გვ. 15); „ხალხს ერთი სული აქვს, პოლიტიკურ სასაფლაოზე გაგისტუმროთ და მიწაც მოგაყაროთ...“ („ხმები ნაცმოძრაობის გარდაცვალების შესახებ, გადაჭარბებული არ ყოფილა!!!“, 23.06.2014, გვ. 30); „ვინც ხუთიანს შემოხაზავს, და ლაყობით ქულებს იწერს, მათ ვუსურვებ სიძვედ მიშას, და პატარძლად თუთბერიძეს“ („ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, 16.06.2014, გვ. 33).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავაკვნათ, რომ „კვირის ქრონიკა“ კვლავ უკიდურესად არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

(დიაგრამა 9, სუბიექტების გაშუქება „კვირის ქრონიკაში“)



დასკვნა

მონიტორინგის მოცემულ, მეოთხე პერიოდში, ისევე, როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, ქართულ ბეჭდურ მედიაში კვლავ საკმაოდ ხშირად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტები არ ერიდებიან სუბიექტურ და დაუსაბუთებელ მსჯელობას. მეტიც, მონიტორინგისთვის შერჩეულ გამოცემებში ხშირად

გვხვდებოდა ჟურნალისტთა ტექსტებში შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევის შემთხვევები სისტემატურად გვხვდება გაზეთებში „ასავალ-დასავალი“, „კვირის ქრონიკა“ და „ალია“.

არჩევნების დღის შემდეგ ბეჭდურ მედიაში მკვეთრად შემცირდა მერობის კანდიდატთა გაშუქების სიხშირე, თუმცა, საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა სხვადასხვა პოლიტიკოსთა და ექსპერტთა შეფასებები არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით.

მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა გამოცემაში კვლავ ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა.